საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ორ ეტაპიან ტენდერს საჯარო სკოლების მართვის დეცენტრალიზაციის რეფორმის შედეგების კვლევის ჩატარებაზე

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

კვლევის დანიშნულება: ზოგადი განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის წარმატებით განხორციელების ხელშეწყობისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიის შემუშავება.

კვლევის მიზანი: დეცენტრალიზაციის (სკოლის ავტონომიურობა, მართვა და რესურსცენტრები) რეფორმის მიმდინარეობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ველი: საქართველოს ყველა საჯარო სკოლა და სკოლის თემი, რესურსცენტრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების სფეროს პოლიტიკის განსაზღვრაში და განხორციელებაში ჩართული სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საკვლევი საკითხები:
სკოლის მართვის რეფორმის მიმდინარეობა: მიღწევები, სირთულეები და რეკომენდაციები: სკოლის მართვის ახალი მოდელისადმი დამოკიდებულება სკოლის თემში; სკოლის ავტონომიურობის ხარისხი; სკოლის ავტონომიურობის და მართვის მოდელის ეფექტი სკოლაზე; დირექტორის, ადმინისტრაციის და სამეურვეო საბჭოს მონაწილეობა სკოლის მართვაში, მათ შორის ფუნქციების განაწილება, ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი; სკოლის მართვის კომპეტენციები სკოლაში: დირექტორი, ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო; სკოლის მართვის რეფორმაზე ინფორმირებულობა პედაგოგებში, მშობლებში და მოსწავლეებში; მშობლის ჩართულობა სკოლაში: არსებული სიტუაციის აღწერა და ანალიზი; სკოლის თემსა და ზოგადი განათლების მართვაში ჩართულ ერთეულებს (სკოლა და სკოლის თემი, რესურსცენტრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების სფეროს პოლიტიკის განსაზღვრაში და განხორციელებაში ჩართული სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები) როლი, მათ შორის ურთიერთქმედება, ძირითადი ფაქტორები, ფორმები და გამოწვევები; სკოლის მართვის რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

კონტრაქტორის მიერ წარმოსადგენი პროდუქტები: საბოლოო ანგარიში უნდა შეიცავდეს როგორც საკვლევი სფეროს და საკითხების აღწერას, ასევე ანალიზს ამ საკითხებთან მიმართებაში. შესაბამისად, ანგარიში უნდა მოიცავდეს: (1) კვლევის შედეგების დეტალურ აღწერას; (2) დასკვნებს; (3) რეკომენდაციებს და (4) კვლევის მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერას.

პირველი ანგარიშის წარდგენის ვადა: 2008 წლის 27 ივნისი.

საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2008 წლის 25 ივლისი.

ტენდერში მონაწილე ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს:

ტენდერის I ეტაპზე:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო ინსპექციიდან);
ბ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
დ) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები ბოლო 2 წლის განმავლობაში.
ე) ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობისა შესახებ;
ვ) განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების მოკლე აღწერა (ნახევარი გვერდი თითოეულ კვლევაზე): კვლევის მიზანი, დამკვეთი ორგანიზაცია, კვლევის მეთოდოლოგია, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) ზოგადი ხედვა აღნიშნული კვლევის განხორციელებაზე: საკვლევი საკითხების და მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა.
თ) კვლევაში ჩართული პირების ავტობიოგრაფიები (1) კვლევის ჩატარებაში და (2) განათლების პოლიტიკის ანალიზის და რეკომენდაციების შემუშავების გამოცდილების მითითებით.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), 2008 წლის 21 აპრილს 14:30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2008 წლის 21 აპრილს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 II სართულზე ოთახი №214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები – ერთიანი ანგარიში
მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი – 220101222
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 302003000
ა/ა - #200122900

დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ: ტენდერის #10 და ორგანიზაციული კოდი: 2211
სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა გამოქვეყნების დღიდან და ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ 2008 წლის 18 აპრილის 17-00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი (საკონტაქტო ტელეფონი 438832).